

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№284

2017 წლის 17 მარტი

ქ.ლაგოდეხი

მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების ა.(ა.)ი.პ. „ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის განვითარების ცენტრისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“, „დ.დ“ და 122-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. გაიცეს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქ. ლაგოდეხში, კოსტავას ქუჩა №4-ში მდებარე შენობა დაზუსტებული ფართობით 1055 კვ.მ /საკ.კოდი:54.01.54.138/, ზაქათლის ქუჩა №25ა-ში მდებარე სპორტული კომპლექსი /საკ.კოდი 54.01.54.340/ და წმინდა ნინოს ქუჩაზე მდებარე სტადიონი (ს/კ:54.01.54.139) ა.(ა.)ი.პ. „ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის განვითარების ცენტრზე“ /ს.ნ.433102821/.


მუხლი 2.გამოცხადდეს ძალადაკარგულად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელსა და ა(ა)იპ „სპორტული კომპლექსის“ დირექტორს შორის 2011 წლის 10 ივნისს დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება.

მუხლი 3. გამოცხადდეს ძალადაკარგულად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელსა და ა(ა)იპ „სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის“ უფროსს შორის 2011 წლის 28 ივლისს დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება.

მუხლი 4.ამ ბრძანების ფარგლებში, ხელშეკრულების სამართლებრივი ფორმის მომზადება დაევალოს იურიდიულ სამსახურს, ხოლო ხელშეკრულების გაფორმება და მასზე კონტროლის განხორციელება - ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 6. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი  კარლო ჯამბურია